

შპს „ჯი ეი ჯი“

2024 წლის ფინანსური ანგარიშგება

შპს „ჯი ეი ჯი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ქართული ლარი	შენიშვნა	<u>31.12.2024</u>	<u>31.12.2023</u>
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	3.1	76 191	49 601
სავაჭრო მოთხოვნები	3.2	1 370 587	210 923
გადახდილი ავანსები		411 609	240 175
მარაგები	3.3	3 340 708	2 750 120
გაცემული სესხები		17 050	-
სხვა მიმდინარე აქტივები	3.4	3 268	11 033
სულ მოკლევადიანი აქტივები		5 219 412	3 261 852
არამატერიალური აქტივები		-	-
ძირითადი საშუალებები	3.5	38 298	39 294
სულ აქტივები		5 257 710	3 301 146
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	3.6	39 624	172
ვალდებულებები პერსონალის წინაშე		-	-
საგადასახადო ვალდებულებები		64 061	75 522
სასესხო ვალდებულებები	3.6	2 339 173	1 039 125
სულ ვალდებულებები		2 442 858	1 114 818
საკუთარი კაპიტალი		-	-
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)		2 814 852	2 186 328
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		5 257 710	3 301 146

დირექტორი:

მანანა ბოგვერაძე

შპს „ჯი ეი ჯი“

საქმიანობის შედეგები

ქართული ლარი	შენიშვნა	2024 წ.	2023 წ.
განგრძობითი ოპერაციები:			
ამონაგები	3.7	4 805 720	3 779 354
გაყიდვების თვითღირებულება	3.7	(3 661 025)	(2 666 086)
საერთო მოგება		1 144 694	1 113 268
სხვა საოპერაციო შემოსავალი		-	-
დასაქმებულთა ანაზღაურება		(92 579)	(64 431)
ცვეთა და ამორტიზაცია		(7 362)	(6 243)
საპროცენტო შემოსავალი		-	-
საპროცენტო ხარჯი		(126 677)	(76 287)
იჯარის ხარჯი		(193 182)	(109 922)
ადმინისტრაციული და სხვა საერთო ხარჯი	3.8	(34 800)	(39 679)
საოპერაციო (ზარალი)/მოგება		690 095	816 705
წმინდა შემოსულობა/ დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან		(61 133)	(22 048)
ფინანსური აქტივების გაუფასურება		-	-
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი		(438)	(7 532)
(ზარალი)/მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		628 524	787 125
მოგების გადასახადის ხარჯი		-	(26 749)
წლის (ზარალი)/მოგება		628 524	760 376
მ.შ. არამაკონტროლებელი წილი			
სხვა სრული შემოსავალი			
სულ წლის სრული (ზარალი)/მოგება		628 524	760 376

დირექტორი:

მანანა ბოგვერაძე

შპს „ჯი ეი ჯი“

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

ლარი	საპაიო კაპიტალი	დაგროვილი მოგება (ზარალი)	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	1 577 531	1 577 531
მოგება (ზარალი) და სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	-	760 376	760 376
განაწილებულია მესაკუთრეებზე (მ.შ. დივიდენდი)	-	(151 579)	(151 579)
მესაკუთრეებზე დაბრუნებული კაპიტალში	-	-	-
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	2 186 328	2 186 328
მოგება (ზარალი) და სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	-	628 524	628 524
განაწილებულია მესაკუთრეებზე (მ.შ. დივიდენდი)	-	-	-
მესაკუთრეებზე დაბრუნებული კაპიტალში	-	-	-
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	2 814 852	2 814 852

დირექტორი:

მანანა ბოგვერაძე

შპს „ჯი ეი ჯი“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

ლარი	2024 წ.	2023 წ.
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(1 069 870)	144 276
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(22 050)	(13 469)
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები	1 125 843	(428 056)
წმინდა ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა) წლის განმავლობაში	33 923	(297 249)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისისთვის	49 602	358 785
ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულადი სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	(7 333)	(11 935)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის ბოლოსთვის	76 191	49 602

დირექტორი:

მანანა ზოგვერაძე

2024 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „ჯი ეი ჯი“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას. კომპანია დარეგისტრებულია 2017 წლის 2 ივნისს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 400207673, იურიდიული მისამართი - საქართველო, თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი, ზღვისუბნის დას. III მ/რ V კვ. კორ. 7 ბ. 19

კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.2. კომპანიის 100% წილის მფლობელია ალექსანდრე გურგენიძე (პ/ნ 18001069547).

1.3. კომპანიის დირექტორია მანანა ბოგვერაძე (პ/ნ 18001049797).

1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა საბითუმო ვაჭრობა საყოფაცხოვრებო საქონლით.

1.5. კომპანიას დაქირავებულ თანამშრომელთა საშუალო რიცხვი 2024 წელს შეადგენდა 5 კაცს.

1.6. საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს

2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება და შედეგების ასახვა ხდება პერსპექტიულად, ანუ იმ პერიოდში, როდესაც მოხდა სააღრიცხვო შეფასების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.6. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საეჭვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება (მათ შორის, 3 წლამდე ნაკლებ ვადაში).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების

საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც

დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობა-ნაგებობები - 25-40 წელი;

მანქანა-დანადგარები - 8-10 წელი;

სატრანსპორტო საშუალებები - 5-10 წელი;

კომპიუტერული ტექნიკა - 4 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 2-5 წელი.

დ) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 15%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.7. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრიდან. კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2017-2024 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.8. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.9. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=3.6894 ლარი;

1 EUR=3.9753 ლარი.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.8068 ლარი;

1 EUR=2.9306 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

ლარი	31.12.2024	31.12.2023
ლარი საბანკო ანგარიშებზე	51 269	48 612
აშშ დოლარი საბანკო ანგარიშებზე	24 789	855
ევრო საბანკო ანგარიშებზე	132	134
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	76 191	49 601

3.2. სავაჭრო მოთხოვნები:

ლარი	31.12.2024	31.12.2023
სავაჭრო მოთხოვნები	1 370 587	210 923
სულ სავაჭრო მოთხოვნები	1 370 587	210 923

3.3. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები:

ლარი	31.12.2024	31.12.2023
საწვავ-საცხები მასალები	189	457
გასაყიდი საქონელი	3 340 518	2 749 663
სულ მარაგები	3 340 708	2 750 120

3.4. სხვა მიმდინარე აქტივები:

ლარი	31.12.2024	31.12.2023
მოთხოვნები დაქირავებული პირების მიმართ	-	10 085
წინსწრებით გადახდილი გადასახადები	-	-
სხვა მიმდინარე მოთხოვნები	3 268	948
სულ სხვა მიმდინარე აქტივები	3 268	11 033

3.5. ძირითადი საშუალებები:

ლარი	სატრანსპორტო საშუალებები	კომპ. ტექნიკა და მოწყობილობები	სპეციალური ინსტრუმენტები	სხვა ამორტიზებადი ძ.ს.	სულ
საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	30 847	993	-	229	32 068
ზრდა ან შემცირება	-	576	12 893	-	13 469
დარიცხული ცვეთა	(5 127)	(558)	(440)	(119)	(6 243)
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	25 720	1 011	12 453	110	39 294
ზრდა ან შემცირება	-	1 820	4 545	-	6 365
დარიცხული ცვეთა	(5 127)	(615)	(1 554)	(66)	(7 362)
საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	20 594	2 216	15 443	44	38 298

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

3.6. ვალდებულებები:

ლარი	31.12.2024	31.12.2023
სავაჭრო ვალდებულებები რეზიდენტი პირების მიმართ	39 624	172
სასესხო ვალდებულებები ფინ. ინსტიტუტების მიმართ	1 634 961	1 033 334
სასესხო ვალდებულებები არაფინ. ინსტიტუტების მიმართ	429 311	-
სასესხო ვალდებულებები პარტნიორების მიმართ	274 902	5 791
სულ ვალდებულებები	2 378 797	1 039 297

3.7. შემოსავალი და პირდაპირი ხარჯები

ლარი	2024 წ.	2023 წ.
შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან	4 805 720	3 779 354
გაყიდული მარაგის თვითღირებულება	(3 654 417)	(2 657 493)
საწვავის და ტრანსპორტირების ხარჯი	(6 608)	(8 593)
სულ შემოსავალი და პირდაპირი ხარჯები	1 144 694	1 113 268

3.8. ადმინისტრაციული და სხვა საერთო ხარჯები (გარდა სხვა მუხლებში განცალკევებულად ასახული შრომის ანაზღაურების, ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯებისა):

ლარი	2024 წ.	2023 წ.
მივლინების ხარჯები	26 939	30 961
საგადასახადო ხარჯი	388	311
საბანკო ხარჯები	4 766	5 687
საექსპლუატაციო ხარჯები და რემონტი	963	1 722
სხვა საერთო ადმინისტრაციული ხარჯი	1 744	998
სულ ადმინისტრაციული და სხვა საერთო ხარჯი	34 800	39 679

4. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2025 წლის 1 იანვრიდან 30 სექტემბრამდე პერიოდში კომპანიის ეკონომიკურ საქმიანობაში საყურადღებო მოვლენები არ მომხდარა.

5. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 30 სექტემბერს.


შპს „ჯი ეი ჯი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ქართული ლარი	მუნიშვნა	<u>31.12.2024</u>	<u>31.12.2023</u>
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	3.1	76 191	49 601
სავაჭრო მოთხოვნები	3.2	1 370 587	210 923
გადახდილი ავანსები		411 609	240 175
მარაგები	3.3	3 340 708	2 750 120
გაცემული სესხები		17 050	-
სხვა მიმდინარე აქტივები	3.4	3 268	11 033
სულ მოკლევადიანი აქტივები		5 219 412	3 261 852
არამატერიალური აქტივები		-	-
ძირითადი საშუალებები	3.5	38 298	39 294
სულ აქტივები		5 257 710	3 301 146
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	3.6	39 624	172
ვალდებულებები პერსონალის წინაშე		-	-
საგადასახადო ვალდებულებები		64 061	75 522
სასესხო ვალდებულებები	3.6	2 339 173	1 039 125
სულ ვალდებულებები		2 442 858	1 114 818
საკუთარი კაპიტალი		-	-
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)		2 814 852	2 186 328
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		5 257 710	3 301 146

დირექტორი:

მანანა ზოგვერაძე




შპს „ჯი ეი ჯი“

საქმიანობის შედეგები

ქართული ლარი	შენიშვნა	2024 წ.	2023 წ.
განგრძობითი ოპერაციები:			
ამონაგები	3.7	4 805 720	3 779 354
გაყიდვების თვითღირებულება	3.7	(3 661 025)	(2 666 086)
საერთო მოგება		1 144 694	1 113 268
სხვა საოპერაციო შემოსავალი		-	-
დასაქმებულთა ანაზღაურება		(92 579)	(64 431)
ცვეთა და ამორტიზაცია		(7 362)	(6 243)
საპროცენტო შემოსავალი		-	-
საპროცენტო ხარჯი		(126 677)	(76 287)
იჯარის ხარჯი		(193 182)	(109 922)
ადმინისტრაციული და სხვა საერთო ხარჯი	3.8	(34 800)	(39 679)
საოპერაციო (ზარალი)/მოგება		690 095	816 705
წმინდა შემოსულობა/ დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან		(61 133)	(22 048)
ფინანსური აქტივების გაუფასურება		-	-
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი		(438)	(7 532)
(ზარალი)/მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		628 524	787 125
მოგების გადასახადის ხარჯი		-	(26 749)
წლის (ზარალი)/მოგება		628 524	760 376
მ.შ. არამაკონტროლებელი წილი			
სხვა სრული შემოსავალი			
სულ წლის სრული (ზარალი)/მოგება		628 524	760 376

დირექტორი:

მანანა ბოგვერაძე




შპს „ჯი ეი ჯი“

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

ლარი	საპაიო კაპიტალი	დაგროვილი მოგება (ზარალი)	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	1 577 531	1 577 531
მოგება (ზარალი) და სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	-	760 376	760 376
განაწილებულია მესაკუთრეებზე (მ.შ. დივიდენდი)	-	(151 579)	(151 579)
მესაკუთრეებზე დაბრუნებული კაპიტალში	-	-	-
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	2 186 328	2 186 328
მოგება (ზარალი) და სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	-	628 524	628 524
განაწილებულია მესაკუთრეებზე (მ.შ. დივიდენდი)	-	-	-
მესაკუთრეებზე დაბრუნებული კაპიტალში	-	-	-
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	2 814 852	2 814 852

დირექტორი:

მანანა ზოგვერაძე



შპს „ჯი ეი ჯი“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

ლარი	2024 წ.	2023 წ.
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(1 069 870)	144 276
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(22 050)	(13 469)
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები	1 125 843	(428 056)
წმინდა ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა) წლის განმავლობაში	33 923	(297 249)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისისთვის	49 602	358 785
ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულადი სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	(7 333)	(11 935)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის ბოლოსთვის	76 191	49 602

დირექტორი:

მანანა ბოგვერაძე

